საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოლევა ელენე ნიკოლოზის ასული



ე. გოგოლევა

გოგოლევა ელენე ნიკოლოზის ასული [25. III (7. IV). 1900, მოსკოვი, – 15. XI. 1993, იქვე], რუსი მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1949), საქართვ. სახ. არტისტი (1964). დაამთავრა მოსკოვის ფილარმონიასთან არსებული მუსიკალურ-დრამატული სასწავლებელი. მე-2 კურსიდან მიიწვიეს მოსკოვის მცირე თეატრში.

მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სოფიო (ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), პრინცესა ებოლი (ფ. შილერის დონ კარლოსი", დადგმა კოტე მარჯანიშვილისა, 1933), ივდითი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა") და სხვ.

გ-ს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართ.-რუს. თეატრალურ ურთიერთობათა განმტკიცებაში, განსაკუთრებით კ. მარჯანიშვილის შემოქმედების შესწავლაში. პერიოდულად მონაწილეობდა ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლებში.

იყო სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947, 1948, 1949). მიღებული აქვს აგრეთვე სხვა სახელმწიფო ჯილდოები.